საარჩევნო ყუთის და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრის ფუნქციები (მუხლი 65)

- მუდმივად უნდა იმყოფებოდეთ საარჩევნო ყუთთან.
- უნდა აკონტროლოთ საარჩევნო ყუთი და სპეციალური კონვერტები.
- დახურული უნდა გქონდეთ საარჩევნო ყუთის სპეციალური კონვერტის ჩასაგდები ჭრილი.
- კენჭისყრის კაბინიდან ამომრჩევლის გამოსვლის შემდეგ უნდა მიუთითოთ მას, განცალკევებით მდგარი მაგიდიდან დამოუკიდებლად აიღოს ერთი სპეციალური კონვერტი და მოათავსოს მასში გადაკეცილი საარჩევნო ბიულეტენი.
- მას შემდეგ რაც დარწმუნდებით, რომ ამომრჩეველს ხელში მხოლოდ ერთი სპეციალური კონვერტი აქვს, უნდა გახსნათ საარჩევნო ყუთის ჭრილი და მიუთითოთ ამომრჩეველს, სპეციალური კონვერტი მოათავსოს საარჩევნო ყუთში.
- სთხოვეთ ამომრჩეველს, დატოვოს საარჩევნო უბანი.

ყურადღება!

- მხოლოდ ამომრჩეველს აქვს უფლება, საარჩევნო ბიულეტენი მოათავსოს სპეციალურ კონვერტში. გამონაკლისია „ფიზიკური მდგომარეობის“ მქონე ამომრჩეველი, რომლის ნაცვლად, მისი თანდასწრებით საარჩევნო ბიულეტენს სპეციალურ კონვერტში ათავსებს და კონვერტს საარჩევნო ყუთში აგდებს მის მიერ არჩეული პირი, რომელიც დაეხმარება მას კენჭისყრის კაბინაში საარჩევნო ბიულეტენის შევსებაში.
- საარჩევნო ყუთთან ერთდროულად ერთზე მეტი ამომრჩევლის მისვლა არ შეიძლება.
- საარჩევნო კომისიის წევრს არ აქვს უფლება, გახსნას შევსებული საარჩევნო ბიულეტენი.
- უფლება გაქვთ, ამომრჩევლის მიერ სპეციალურ კონვერტში ბიულეტენის მოთავსებამდე მოსთხოვოთ მას, გიჩვენოთ, რომ ხელში დადგენილი რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენი და ერთი სპეციალური კონვერტი აქვს. ამომრჩეველი ვალდებულია შეასრულოს ეს მოთხოვნა.